7043	სათბობი და ენერგეტიკა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70431	ნახშირი და სხვა სახის მყარი მინერალური საწვავი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70432	ნავთობი და ბუნებრივი აირი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70433	ბირთვული საწვავი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70434	სხვა სახის საწვავი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70435	ელექტროენერგეტიკა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70436	არაელექტრული (მზის, ქარის, წყლის) ენერჯია	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7044	სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70441	მინერალური რესურსების მოპოვება, მინერალური საწვავის გარდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70442	გადამამუშავებელი მრეწველობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0



70443	მშენებლობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7045	ტრანსპორტი	1,107.5	1,097.7	9.8	2,328.6	2,128.6	200.0	600.0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	659.5	649.7	9.8	1,692.2	1,492.2	200.0	600.0
70452	საზღვაო ტრანსპორტი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70453	სარკინიგზო ტრანსპორტი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70454	საჰაერო ტრანსპორტი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70455	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	448.0	448.0	0.0	636.4	636.4	0.0	0.0
7046	კავშირგაბმულობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7047	ეკონომიკის სხვა დარგები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70471	ვაჭრობა, მარაგების შექმნა, შენახვა და დასაწყობება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70472	სასტუმროები და რესტორნები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70473	ტურიზმი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70474	მრავალმიზნობრივი განვითარების პროექტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7048	გამოყენებითი კვლევები ეკონომიკური საქმიანობის სფეროში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70481	გამოყენებითი კვლევები საერთო ეკონომიკურ, კომერციულ და შრომით რესურსებთან დაკავშირებულ საქმიანობაში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70482	გამოყენებითი კვლევები სოფლის მეურნეობაში, სატყეო მეურნეობაში, მეთევზეობასა და მონადირეობაში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70483	გამოყენებითი კვლევები სათბობსა და ენერგეტიკაში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70484	გამოყენებითი კვლევები სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობასა და მშენებლობაში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70485	გამოყენებითი კვლევები ტრანსპორტის სფეროში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70486	გამოყენებითი კვლევები კავშირგაბმულობის სფეროში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70487	გამოყენებითი კვლევები სხვა სახის ეკონომიკურ საქმიანობაში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	2,755.2	2,753.2	2.0	4,319.0	3,972.5	346.5	81.0
705	გარემოს დაცვა	330.2	197.7	132.5	724.4	522.4	202.0	370.0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამამუშავება და განადგურება	330.2	197.7	132.5	724.4	522.4	202.0	370.0



7052	ჩამდინარე წყლების მართვა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7053	გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7055	გამოყენებითი კვლევები გარემოს დაცვის სფეროში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	136.9	8.3	128.6	1,018.1	823.1	195.0	200.0
7061	ბინათმშენებლობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7063	წყალმომარაგება	2.4	2.4	0.0	823.1	823.1	0.0	0.0
7064	გარე განათება	134.5	5.9	128.6	195.0	0.0	195.0	200.0
7065	გამოყენებითი კვლევები საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	43.3	0.0	43.3	70.0	0.0	70.0	70.0
7071	სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და აპარატები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70711	ფარმაცევტული პროდუქცია	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70712	სხვა სამედიცინო პროდუქცია	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70713	თერაპიული დანიშნულების მოწყობილობები და აპარატები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7072	ამბულატორიული მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70721	ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70722	სპეციალიზებული ამბულატორიული მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70723	სტომატოლოგიური მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70724	საშუალო სამედიცინო პერსონალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7073	საავადმყოფოების მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70731	ზოგადი პროფილის საავადმყოფოების მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70732	სპეციალიზებული საავადმყოფოების მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70733	სამედიცინო ცენტრებისა და საშობიარო სახლების მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0



70734	სანატორიუმებისა და გამაჯანსაღებელი სახლების მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	43.3	0.0	43.3	70.0	0.0	70.0	70.0
7075	გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	587.4	0.0	587.4	1,139.6	0.0	1,139.6	1,381.7
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	203.6	0.0	203.6	540.0	0.0	540.0	620.0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	224.9	0.0	224.9	412.6	0.0	412.6	507.0
7083	ტელერადიომუწეობა და საგამომცემლო საქმიანობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	158.9	0.0	158.9	187.0	0.0	187.0	254.7
7085	გამოყენებითი კვლევები დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
709	განათლება	298.4	0.0	298.4	617.4	0.0	617.4	668.0
7091	სკოლამდელი აღზრდა	278.9	0.0	278.9	560.0	0.0	560.0	600.0
7092	ზოგადი განათლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70921	დაწყებითი ზოგადი განათლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70922	საბაზო ზოგადი განათლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7093	პროფესიული განათლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7094	უმაღლესი განათლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70941	უმაღლესი პროფესიული განათლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70942	უმაღლესი აკადემიური განათლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7095	უმაღლესისშემდგომი განათლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7097	გამოყენებითი კვლევები განათლების სფეროში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	19.5	0.0	19.5	57.4	0.0	57.4	68.0
710	სოციალური დაცვა	204.4	34.5	169.9	234.0	0.0	234.0	252.0



7101	შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	6.3	2.0	4.3	4.0	0.0	4.0	4.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	95.7	20.0	75.7	126.2	0.0	126.2	129.0
7105	უმუშევართა სოციალური დაცვა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7108	გამოყენებითი კვლევები სოციალური დაცვის სფეროში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	102.4	12.5	89.9	103.8	0.0	103.8	119.0
	სულ	8,018.2	4,432.6	3,585.6	13,394.0	7,719.6	5,674.4	6,999.3

მესტიის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტსა და პრიორიტეტის დოკუმენტზე განმარტებითი ზარათი

მესტიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების, პროგრამების მათი აღწერის, მოსალოდნელი შედეგების ინდიკატორები

ბოლო წლებში არჩეული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართულმა სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის, რითაც თავის მხრივ უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, კულტურის დასვენებისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე 2015 -2018 წლებში მუნიციპალიტეტის სტრატეგია უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, სოციალური პრობლემების გაუმჯობესებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და განათლების ხელშეწყობას.

მესტიის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება;
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- განათლება;
- კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

შემოსულობების ნაწილში:

2015 წლისათვის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი წარმოდგენილია 6,999.3 ათასი ლარის ოდენობით.

ცალკეულ სახეობათა მიხედვით შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები იძლევა შემდეგ სურათს:

გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 3,402.0 ათას ლარს მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადი წარმოდგენილია 1,050.0 ათასი ლარის ოდენობით. ქონების გადასახადი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე 2.0 ათასი ოდენობით, ქონების გადასახადი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე 2,350.0 ათასი ლარის ოდენობით.

გრანტებით მისაღები საპროგნოზო თანხა შეადგენს 3,222.3 ათას ლარს, მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერი 3097.3 ათასი ლარის ოდენობით, მიზნობრივი ტრანსფერი 125.0 ათასი ლარის ოდენობით.

სხვა შემოსავლებიდან გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 300.0 ათასი ლარს, კერძოდ ბუნებრივი



რესურსების სარგებლობისთვის მოსაკრებელი 300.0 ათასი ლარი.

საქონელი და მომსახურების რეალიზაციიდან 15.0 ათას ლარი, ჯარიმები და საურავები 30.0 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების კლება დაგეგმილია 30.0 ათასი ლარით.

დელეგირებულ უფლებამოსილებებს განეკუთვნება, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის და ა.ა.იპ “მესტიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს დაფინანსება. დელეგირებულ უფლებამოსილებათა დასაფინანსებლად გამოყოფილი 125.0 ათასი ლარი.

გადასახდლების ნაწილი მესტიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების, პროგრამების მათი აღწერის, მოსალოდნელი შედეგებისა ინდიკატორები ათასი ლარი) თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები.

მოსახლეობის სტიქიური მოვლენების, უბედური შემთხვევების და სხვა საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში დახმარების გასაწევად სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს სამაშველო სამსახურის ოპერატიული მოქმედება, მათი მზადყოფნა დროული და სათანადო დახმარების აღმოსაჩენად. აუცილებელია პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა. პერსონალისათვის სათანადო ხარისხის ინდივიდუალური და ჯგუფური წვრთნების ჩატარება და პროფესიული დონის ამაღლება.

საგანგებო სიტუაციების მართვა (პროგრამული კოდი 02 01)

270.0 ათასი ლარით ფინანსდება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, რომელიც ემსახურება სახანძრო და სხვა უბედური შემთხვევების პრევენციას.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილება, მათი შედეგების ლიკვიდაცია.
- მოსახლეობისა და გარემოს სახანძრო უსაფრთხოების დონის ამაღლება;
- მოსახლეობის და გარემოს უსაფრთხოების 50%-ით გაზრდა

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

60 ათასი ლარით ფინანსდება საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლება, მესტიის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- არსებული რესურსებისა და თავდაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესებისათვის მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა სამხედრო აღრიცხვის,სამხედრო სამსახურისათვის მომზადებისა და გაწვევის კოორდინაცია;
- საქართველოს სამხედრო ძალების ჯანმრთელი ახალგაზრდა თაობით უზრუნველყოფა;

(1160.0 ათასი) ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია დაბის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების, საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა, დაფინანსება და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

მუნიციპალიტეტის გზების და ხიდების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 01 01)

600.0 ათასი ლარი – პროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში გზების და ხიდების რეაბილიტაცია. 2015წ დაგეგმილია შემდეგი პროექტების განხორციელება:

- სოფ ლახამულაში ქვ.იფარის დამაკავშირებელი დაკიდული ხიდის მშენებლობა— 85 000ლარი
- სოფ. უშგულში შიდა სასოფლო სამეურნეო ხის ხიდების რეაბილიტაცია —75 000 ლარი
- სოფ.ლატალში სოფ ლახუშდში მდ.ენგურზე „ლაკა“-ს ხიდის მშენებლობა — 230 000ლარი.
- სოფ ცხუმარში სვიფში მდ.ენგურზე „დენის“ დაკიდული ხიდის რეაბილიტაცია — 55 000 ლარი.
- დ.მესტიაში ლებთაგის უბანში,ზურვიკო ჩართოლანის და ლეო ჯაფარიძის საცხოვრებელი სახლების, ეზოების საყრდენი კედლების სარეაბილიტაციო სამუშაოები— 75 000 ლარი.
- დ.მესტიაში საპატრიარქოს რეზიდენციის მიმდებარე ტერიტორიაზე გზის დამცავი კედლის რეაბილიტაცია —80 000 ლარი.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილება
- .ავტო-საგზაო შემთხვევათა პრევენცია.

(500.0 ათასი ლარი)კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე-განათების ქსელის გაფართოება. არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მესტიის მუნიციპალიტეტის დასუფთავების ღონისძიება, ასევე წყლის



გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

200.0 ათასი ლარია გამოყოფილი, რაც მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე-განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, ასევე სოფლის ცენტრებში ახალი წერტილების მოწყობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- ახალი გარეგანათების მოწყობა და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება.
- მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა

დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)

370.0 ათასი ლარი გამოიყო დასუფთავების ღონისძიებისთვის, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსამედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა. ქვეპროგრამის ფარგლებში ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზის ტექნიკური მარლით დამუშავება, ხოლო დიდთოვლობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისგან გათავისუფლება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური და სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება.
- მუნიციპალიტეტის დასუფთავების და ნარჩენების გატანის ინტენსიურობის მაჩვენებელი.

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

81.0 ათასი ლარი – პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაბის ცენტრის რეაბილიტაციის სამუშაოები, ისტორიული უბნების აღდგენა-რეაბილიტაცია, კულტურული ძეგლების რეაბილიტაცია. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ეკლესია-მონასტრების რეაბილიტაცია - აშენება. ასევე აღნიშნულ თანხაში შედის საპროექტო სახარჯთაღრიცხო დოკუმენტაციის შესყიდვის ხარჯი.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება.
- ადგილობრივი მოსახლეობისთვის კომფორტული გარემოს შექმნა
- ყოველწლიურად 20-30 %-ით შემცირდება მოსახლეობის ანტისანიტარიის, დაბინძურების რისკი და 20-30%-ით გაიზრდება ტურისტული ნაკადი.

(668.0 ათასი ლარი) განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას.

სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

600.0 ათასი ლარი ეთმობა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დაფინანსებას. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 21 ბაღი, სადაც განათლებას იღებს 341 ბავშვი. ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებისათვის ყველა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და ამღზრდელთა ხელფასებს, ბავშვების კვების და სხვა მიმდინარე ხარჯებს.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- სრულყოფილი მომავალი თაობის აღზრდა. სკოლამდელი დაწესებულების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.
- სკოლამდელი ასაკის ბავშვების ოჯახების მაქსიმალური ხელშეწყობა მომავალი თაობების კომფორტულ გარემოში ყოფ

ხელოვნების სკოლა (პროგრამული კოდი 04 03)

68.0 ათასი ლარი ხელოვნების სკოლის მიზანია პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედების განვითარება, ხელოვნების სხვადასხვა დარგებთან ზიარების თანაბარი პირობების შექმნა.მომდევნო წლებში დაგეგმეთ სხვადასხვა დარგების დამატება, რაც გამოიწვევს პედაგოგთა და მოსწავლეების რიცხვის გაზრდას და მათ ჩაბმვას აქტიურად სასწავლო პროცესში. ხელოვნების სკოლის ამოცანაა პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარება, ხელოვნების სხვადასხვა დარგებთან ზიარების თანაბარი პირობების შექმნა;

ხელოვნების სკოლის ფუნქციები მოიცავს სამ ძირითად მიმართულებას:

- 1) საფორტეპიანო სწავლება
- 2) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლება
- 3) ფოლკლორი და სახვითი ხელოვნების სწავლება ხელოვნების სკოლა დაფუძნდა 2013წ 19 ივლის საკრებულოს განკარგულების საფუძველზე, ფუნქციონირება დაიწყო 2014წ მარტიდან



მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მომავალი თაობის მაქსიმალური ჩართვა ხელოვნების სფეროში
- შესაბამისი სახელოვნებო-საგანმანათლებლო პროგრამების ათვისება;
- მოზარდებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის;
- მოზარდის ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბება, კრეატივის, ფანტაზიისა და მსოფლმხედველობის მაქსიმალური განვითარება.

(1354.0 ათასი ლარი) კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი ისე ფიზიკური თვასაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, შესაბამისად მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების განვითარება.

ა(ა)იპ“ სპორტული სკოლების გაერთიანება“ (პროგრამული კოდი 05 01 01)

620.0 ათასი ლარით ფინანსდება სპორტული ღონისძიებები, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული სკოლების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხები ემსახურება ახალგაზრდობის მაქსიმალურ ჩართვას სპორტის სხვადასხვა სახეობებში, ახალგაზრდობისათვის სპორტული გამაჯანსაღებელი პირობების შექმნას.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- ამაღლება მუნიციპალიტეტის სპორტულ სფეროში ჩართულობის დონე.

(507.0 ათასი ლარი) კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება კულტურის ცენტრი, მუსიკალური სკოლა, სამხატვრო სკოლა და ბიბლიოთეკები.

(კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01)

360.0 ათასი ლარით ფინანსდება ა.ა.იპ“ კულტურის ცენტრი“ მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში ფინანსდება კულტურის ცენტრი მასში შემავალი 5 კულტურის სახლი, 2 სასოფლო კლუბი, ახალგაზრდული ცენტრი „ბეთქილი“, 2 სახელობითი მუზეუმი, 3 ფოლკლორული ანსამბლი („რიპო“ „ლატალი“ ახალგაზრდული ფოლკლორული ჯგუფი „ბეთქილი“).

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- ზოგადად კულტურისა და კულტურის დარგების შენარჩუნების, დაცვისა და განვითარების ხელსაყრელი პირობების შექმნა.თეატრის , მუსიკის, ქორეოგრაფიის, სახვითი გამოყენებითი ხელოვნების, ხალხური რეწვის დარგები სპროპაგანდა-პოპულიზაცია.

ბიბლიოთეკების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 04)

65.0 ათასი ლარია გამოყოფილი ბიბლიოთეკების დაფინანსება, მიზნად ისახავს მკითხველთა სწრაფი და სრული დაკმაყოფილებას მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით უზრუნველყოფას. ხელსაყრელი პირობების შექმნა პიროვნების შემოქმედებითი განვითარებას. მოსახლეობის ყველა ფენის მომსახურებას. საბავშვო ან მასობრივ ბიბლიოთეკებში ფონდების შექმნის მიზნით კულტურულ საგანმანათლებლო ღონისძიებების მიოწყოფა. მომდევნო წლებში დაგეგმილი გვაქვს: კეთილმოწყობილი სამკითხველო დარბაზის გაკეთება,რაც მკითხველის მოზიდვას გამოიწვევს ,საცავის რეაბილიტაცია,სადაც განლაგებულია ფონდი. ახალი ბეჭდური პროდუქციის შექმნა. მთავარი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის ელექტრონულ ფორმატზე გადასვლა. 2015 წ მთავარ პრიორიტეტად გვაქვს დასახელებული ნაკრავი,უშუალოში და ივარში ბიბლიოთეკის გახსნა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მოზარდი თაობის მკითხველთა კონტიგენტის გაფართოება.
- მოსწავლე-ახალგაზრდობის ცოდნის დონის ამაღლება.
- წიგნიერების პოპულიზაცია.

ხელოვნების სახლ მუზეუმი (05 02 05)

82.0 ათასი ლარით ფინანსდება ა.ა.იპ ხელოვნების მუზეუმი“ რაც მიზნად ისახავს მხატვარი ძმების ირაკლი,მარატი და გოვენ ფარჯიანების თანამედროვე ხელოვნების მემორიალური სახლ – მუზეუმის გახსნას და ფუნქციონირებას.

ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (05 03)

127.7 ათასი ლარით ფინანსდება ახალგაზრდული პროგრამები. აღნიშნული პროგრამა ემსახურება ახალგაზრდა თაობის მრავალ მხრივ განათლებას და ზოგადი უნარების ჩამოყალიბებას.

2015წ აღნიშნული თანხით იგეგმება:

პროექტი „ფოლკლორული ფესტივალი ზემო სვანეთი 2015“—20 000 ლარი

სოციალურ-საგანმანათლებლო მედია პროექტი „ეტალონი“ —3 000 ლარი



„ზემო სვანეთის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პირველადი ინვენტარიზაცია“ (ბროშურების გამოცემა). — 6 000 ლარი

„მხიარული სტარტები“ — 7 000 ლარი

„მხიარულთა და საზრიანთა კლუბი“. — 6 000 ლარი

26 მაისის ღონისძიება. — 5 000 ლარი

მირონ ხერგიანის წიგნის გამოცემის თანადაფინანსება, „კლდის ვეფხვის“ ინგლისურენოვანი თარგმანი. — 5 000 ლარი

ერეკლე სალიანის ლექსების კრებული „შამარირა“ — 5 000 ლარი

ბავშვთა დაცვის დღე — 5 600 ლარი

„ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“ — 1 200 ლარი

„რა, სად, როდის“ — 1 200 ლარი

„არქეოლოგიური გათხრები სვანეთში“ — 10 000 ლარი

ექვთიმე თაყაიშვილზე ფილმი: „ნაკვალევზე“ — 45 000 ლარი

ა.ა.იპ“ ლეო ფილანის სახელობის სახალხო და ფოლკლორის თეატრი“ (პროგრამული კოდი 05 04)

27.0 ათასი ლარი – ამ პროგრამის ფარგლებში თეატრის ფუნქციონირებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება, პერსონალის დაფინანსება, ქვეპროგრამის მომდევნო წლებში დაგეგმილი გვაქვს: თეატრის რეაბილიტაცია, კვალიფიციური კადრების დამატება, საინტერესო პროექტების შექმნა,

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.
- თეატრალური წარმოდგენებით მოსახლეობის უზრუნველყოფა.

ა.ა.იპ“ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის დაფინანსება(05 05)

100.0 ათასი ლარი გამოიყო **ა.ა.იპ“ კულტურული მემკვიდრეობის ცენტრის დასაფინანსებლად“** აღნიშნული ა.ა.იპ ემსახურება კულტურული ძეგლების აღრიცხვას და რეაბილიტაციას, რაც ხელს შეუწყობს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას და დაცვას.

(322.0 ათასი ლარი) მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

(პროგრამული კოდი 06 00)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

70.0 ათასი ლარით ფინანსდება ჯანდაცვის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, რომლის მიზანია გადამდებ დაავადებათა ეპიდემიულ-დამცველობა და კონტროლი, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, ცხოვრების წესის დამკვიდრება. გადამდებ დაავადებათა ეპიდემიულ-დამცველობის და კონტროლის ღონისძიებების ჩატარება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მუნიციპალიტეტში კეთილსამიედო ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა, დაავადების რისკების გამოვლენა.
- გადამდებ დაავადებათა შემცირება.
- საგანმანათლებლო, სადამხრდელი დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა.
- პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა

(162.0 ათასი ლარი) მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მარჩენალდაკარგულთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 01)



10.0 ათასი ლარი გამოიყო მარჩენალდაკარგულთა სოციალური დაცვის დასაფინანსებლად, აღნიშნული პროგრამით ხორციელდება დედ-მამით ობოლ და ინვალიდ ბავშვებზე დახმარება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- ინვალიდი და ობოლი ბავშვების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.
- მკურნალობის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა.

გაჭირვებულ ოჯახთა ერთჯერადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 02)

136.0 ათასი ლარი გამოიყო გაჭირვებულთა ერთჯერადად დახმარებისთვის, აღნიშნული პროგრამა მოიცავს გაჭირვებული ოჯახების გადაუდებელი ღონისძიებების დაფინანსებას.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- სიღარიბის ფორმების გარკვეული პრევენცია.
- სოციალური რისკების შემცირება

ვეტერანთა (ხანდაზმულთა) სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 03)

16.0 ათასი ლარი გამოიყო ხანდაზმულთა და ვეტერანთა დასახმარებლად აღნიშნული პროგრამა მოიცავს შემდეგ ქვეპროგრამებს:

1. ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ პირებზე დახმარება
2. გარდაცვლილ დევნილთა და ვეტერანთა (დაკრძალვის ხარჯები) დახმარება.
3. ხანდაზმულები

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- დიდი სამამულო ომისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილეთა და გარდაცვლილთა ოჯახებისათვის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი.
- სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

მესტიის მუნიციპალიტეტის ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 03)

60.0 ათასი ლარი გამოიყო პროგრამა მოიცავს შემდეგ ქვეპროგრამებს:

1. ახალშობილებზე ერთჯერად დახმარებას.
2. ონკოლოგიურ და მძიმე ავადმყოფებზე ერთჯერადი დახმარებები
3. პირველი ჯგუფის ინვალიდების ერთჯერადი დახმარებები.

მრავალშვილიანები

გადაუდებელი ქირურგიული ოპერაცია

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- საზოგადოებაში ინტეგრაციის უნარის გაუმჯობესებას.
- დემოგრაფიული მაჩვენებლის ზრდა.
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დონის გაუმჯობესება.
- დაავადებები, რომლებიც მოითხოვენ ძვირადღირებულ მკურნალობას სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა.
- მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული პირობების გაუმჯობესება.

სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 04)

30.0 ათასი ლარი გამოიყო აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს ხანძრით და ბუნებრივი კატაკლიზმებით დაზარალებული ოჯახების დახმარებას.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- ეკონომიკური და მორალური მხარდაჭერა.
- ფინანსური დახმარება

